სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
სააგენტოს 2013 წლის ანგარიში

სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ორგანიზებით 2013 წელს განხორციელდა აჭარაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების რეაბილიტაციის პროგრამა. პროგრამის ფარგლებში:

ა) სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 4 თაღოვან ხიდს. (ხუცუბნის, უჩხოს, მირვეთისა და საღორეთის ხიდები).

ბ) ხიხანის ციხეზე აშენდა არქეოლოგებისათვის საცხოვრებელი სახლი, მოხდა წყლის მიყვანა.

გ) შეძენილი იქნა სარფის ეკლესიისა და გონიოს ციხის არქეოლოგიური უბნების საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების პროექტი.

სააგენტოს ორგანიზებითა და დაფინანსებით ჩატარდა შემდეგი არქეოლოგიური გათხრები:

ა) ხიხანის ციხეზე. აღსანიშნავია, რომ ხიხანის ციხეზე არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა პირველად. მიმდინარე წლამდე მისი არქეოლოგიური შესწავლა არ იყო დაწყებული. 2013 წელს მოხდა ნაეკლესიარისა და სასახლის შესწავლა.

ბ) სოფ. მახოში. გამოვლინდა 8 სამარხი და ბევრი საინტერესო არტეფაქტები. უახლესი აღმოჩენები საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ლაზიკის სამეფოს ფორმირების და რომაულ სამყაროსთან ურთიერთობის კვლევაში.

გ) სოფ. მახვილაურში. აქ მიკვლეულ იქნა კლასიკური ხანის 5 სამარხი, რომლებიც დაფარული იყო ქვაყრილით, ერთ სამარხთან დაფიქსირდა ქვის მცირე ზომის სტელა, კოლხური დოქი, ბრინჯაოს ოინოხოია და ბრინჯაოს ჭურჭელი-სიტულა.

დ) გონიოს ციხეში. არქეოლოგიური კვლევა-ძიება გაგრძელდა გონიოს ციხის ორ უბანზე: სამხრეთ -დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე, ძეგლის სტრატიგრაფიისა და კულტურულ ფენათა მონაცვლეობის დადგენისა და იქ არსებული შენობა-ნაგებობების არქიტექტურის შესწავლის მიზნით.

ე) ფიჭვნარის ტერიტორიაზე. არქეოლოგიური ექსპედიცია განხორციელდა სამ უბანზე სადაც აღმოჩნდა 12 სამარხი და 1 სააღაპო მოედანი. მოპოვებულია საკმაოდ საინტერესო და მრავალრიცხოვანი სამარხეული ინვენტარი.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ ორგანიზება გაუკეთა მუნიციპალიტეტებში არსებულ ძეგლებზე გაწმენდითი სამუშაოების წარმოებას. გაიწმინდა სულ 20 ძეგლი. კერძოდ:

ა) ხულოს მუნიციპალიტეტი: ციხიყელი, ვარდციხე, თხილვანის ნაეკლესიარი, ვერნების ეკლესია;

ბ) შუახევის მუნიციპალიტეტი: კავიანის ციხე, ოთოლთას ციხე, დარჩიძეების ციხე, ნიგაზეულის ციხე და ჭვანის ჯაიმელას ხიდი;

გ) ქედის მუნიციპალიტეტი: მახუნცეთის თაღოვანი ხიდი, წონიარისის ხიდი და გულების ციხე;

დ) ქობულეთის მუნიციპალიტეტი: ელიას ციხე, ალამბრის ციხე, პეტრას ციხე და ცხემვანის ხიდი;

ე) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი: გვარას ციხე, მახოს ხიდი, ბათუმის ციხე და ჩიქუნეთის ხიდი.

სააგენტოს ორგანიზებით 2013 წელს შეიქმნა აჭარაში პირველი სარესტავრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორია. შეძენილი იქნა ყველა საჭირო აღჭურვილობა ლაბორატორიისათვის, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მოძრავი ძეგლების რეაბილიტაცია-კონსერვაცია.

მიმდინარე წელს სამუზეუმო პედაგოგიკის განვითარების მიზნით სააგენტომ განახორციელა კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამები. კერძოდ:

ა) საგანმანათლებლო პროგრამა ,,შეეხე ისტორიას ხელებით“. ჩართულები იყვნენ ბათუმის(გონიო) 30-ე საჯარო სკოლის 5-6 კლასის მოსწავლეები. პროგრამის მიხედვით სკოლის მოსწავლეები გაეცნენ უძველესი ადამიანების ყოფას და კულტურას, შეისწავლეს საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობის ისტორია. შეისწავლეს ძველი საბერძნეთის ისტორია, კულტურა და ხელოვნება. პროგრამაში მონაწილე მოსწავლეებს გადაეცათ ,,ნორჩი არქეოლოგის“ სერთიფიკატები და ფასიანი საჩუქრები.

ბ) საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტი ,,არქეოკულტურა. წინაპართა ნაკვალევზე“. მონაწილე მხარეები: აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო(საქართველო), სკოლა ,,Gorach wysokic“(პლონეთი) და ქ. ისტბორნის ახალგაზრდა არქეოლოგთა კლუბი (ინგლისი). ჩატარდა სასწავლო-შემეცნებითი გაკვეთილები, რომელიც ეძღვნებოდა ძველი კოლხეთის, ანგლოსაქსების და პოლონეთის ისტორიას და არქეოლოგიას.

გ) ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმისა და გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის გიდებმა გაიარეს ტრენინგი, რომელიც ითვალისწინებდა სამუზეუმო ტურების დაგეგმვას და პროფესიული უნარების გაუმჯობესებას.

ასევე სხვადასხვა ღონისძებები მოეწყო მუზეუმების საერთაშორისო დღესა და ძეგლებისა და ისტორიული ადგილების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.